ვაკანსიის № 97674

პოზიციის დასახელება	არაყურძნისეული ალკოჰოლური სასმელის და სპირტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
კატეგორია	მევენახეობა - მეღვინეობა
განცხადების ბოლო ვადა	18.02.2026
თანამდებობრივი სარგო	3040 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

ფუნქციები

- არაყურძნისეული ალკოჰოლური სასმელების დარგში სავალდებულო შეტყობინების ფორმების მიღება, დამუშავება, ანალიზი და საინფორმაციო ელექტრონული ბაზის წარმოება;
- სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოში ალკოჰოლიანი სასმელების, დისტილატების და სპირტების სერტიფიცირების პროცესისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
- არაყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების, დისტილატების და სპირტების წარმოებაზე მონიტორინგის განხორციელება და შესაბამისი აქტების მომზადება;
- მონიტორინგის, ინსპექტირების ფარგლებში აღებული არაყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების და სპირტის ნიმუშების ლოტთან მიმართებაში შესაბამისობის დადგენისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
- მონიტორინგის, ინსპექტირების შედეგების საფუძველზე ალკოჰოლიანი სასმელების და სპირტის ნაშთების ელექტრონული ბაზის განახლება;
- სამმართველოში შემოსული წერილებისა და ინფორმაციების განხილვა და კომპეტენციის ფარგლებში დასკვნების მომზადება;
- არაყურძნისეული ალკოჰოლური სასმელის და სპირტის რეგულირების სამმართველოს უფროსისათვის საქმიანობის პერიოდული ანგარიშების წარდგენა;
- არაყურძნისეული ალკოჰოლური სასმელის და სპირტის რეგულირების სამმართველოს ფუნქციების გათვალისწინებით უფროსის მიერ დაკისრებული სხვა დავალებების/მითითებების შესრულება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	3 წელი

საკონკურსო თემატიკა

საქართველოს კონსტიტუცია (I-II თავი);„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონი;სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანება;„საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონი;საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის №2-82 ბრძანებით დამტკიცებული „ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესი.“;„ტექნიკური რეგლამენტის № ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ -საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 მარტის №117 დადგენილება;„დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის წარმოების სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბერის №2-1008 ბრძანება;„ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის, ყურძნისეული წარმოშობის სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბერი №2-1009 ბრძანება;„მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში

ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 იანვარის □2-78 ბრძანება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	ძალიან კარგი
Microsoft Office Excel	ძალიან კარგი
Microsoft Office Outlook	ძალიან კარგი
eDocument	ძალიან კარგი

ენები

ენა	წერითი უნარები	მეტყველება
ინგლისური	B1	B1

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	• მარშალ გელოვანის გამზ. □32, 0159 თბილისი.
საკონტაქტო ტელეფონები	032 297 41 03

დამატებითი მოთხოვნები

- ადმინისტრაციულ ორგანოში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- სავალდებულოა მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 2 წლისა;

პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- არგუმენტირებული მსჯელობის/საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი;
- ანალიტიკური აზროვნება;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი (ზეპირსიტყვიერი და წერითი);
- შედეგებზე ორიენტირებულობა;
- ლოგიკური აზროვნების უნარი;
- დეტალებზე ორიენტაციიის უნარი;
- დროის ეფექტურად მართვის უნარი;
- პრეზენტაბელურობა, კომუნიკაბელურობა;

დამატებითი ინფორმაცია

აუცილებელია კანდიდატმა:
- განათლება კვალიფიკაციის გრაფაში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- შესაბამის გრაფაში მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.
- კონკურსანტი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარუდგენლობის ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან. კონკურსის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.
- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობისა და სტრუქტურის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს: www.georgianwine.gov.ge
- მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მოსულმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

- კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ქულათა სისტემით, გადაწყვეტილებას მიიღებს სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოში შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობა, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება